ფეოდალური მმართველობა და ფეოდალური წყობილება

კობა სოხაძე
სტუ-ს პროფესორი

კაცობრიობის განვითარების ისტორიის ობიექტური ასახვა შეუძლებელია იმ ინტელექტუალების ნაშრომების შეფასების გარეშე, რომელთა ავტორებიც ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში მოღვაწეობდნენ და თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად ქმნიდნენ შეხედულებების (დოქტრინების) სისტემებს, რომლებშიც აისახებოდა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სფეროების ზოგადი თუ კონკრეტული კანონზომიერებანი.

ისტორიის ჟამთასვლამ შემოგვინახა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულების მრავალი ნაშრომი, რომელთა შესწავლაც საშუალებას გვაძლევს ანალიზი გავუკეთოთ და შევაფასოთ ისტორიული მონაკვეთის განვითარების დონე და ტენდენციები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან განსხვავებით ჰუმანიტარული მეცნიერებები, როგორც წესი გაბატონებული კლასის სამსახურში იდგნენ თავიანთ ნაშრომებში ქმნიდნენ რეცეპტებს არსებული წყობილების შენარჩუნებისა და გახანგძლივების მიზნით, თუმცა იყო გამონაკლისები როცა მეცნიერები აკრიტიკებდნენ საზოგადოებრივი წყობილების ნაკლოვანებებს და იძლეოდნენ რეკომენდაციებს მათი დაძლევის მიზნით.

ჰუმანიტარული მეცნიერებების სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ეკონომიკურ თეორიებს, რომლებიც ასახავენ საზოგდოების განვითარების ეკონომიკურ მხარეს და იძლევიან რეცეპტებს სახელმწიფოს მიერ საზოგადოების უკრიზისოდ განვითარების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე მეცნიერული ნაშრომები იქმნებოდა დიდი მოაზრობნეების მიერ, რომლებიც აფასებდნენ საზოგადოების განვითარებას მთლიანობაში, ამიტომაც მათ ნაშრომებში ფილოსოფიურ მსჯელობებთან ერთან გვხვდებოდა საბუნებისმეტყველო და ეკონომიკური მიმართულების მსჯელობები. ძირითადად ადრეული კაპიტალიზმის ეპოქაში გამოიკვეთა ეკონომიკური მიმართულების სკოლები, რომლებიც აკეთებენ საბაზრო ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებიების შესახებ მეცნიერულ ანალიზს.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი წარმოუდგენელია სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკონომიკური მეცნიერებების მიღწევების ანუ ეკონომიკური თეორიების ასახვის გარეშე. ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის მაღალგანვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკაში აისახება მოაზროვნე ეკონომისტების ეკონომიკური დოქტრინები, რაც ეკონომიკის უკრიზისო განვითარების საფუძველია. რაც უფრო დაბალგანვითარებულია სახელმწიფო აზროვნება და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომისტების ნაშრომებს და რეკომენდაციებს მთლიანად ეკონომიკისა და მისი სხვადასხვა მიმართულებების განვითარების შესახებ. აღნიშნულის სამაგალითოდ საქართველო გამოგვადგება, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყნის მმართველი ელიტა არაფრად აგდებს ეკონომისტების ნაშრომების შეფასებას და მათ სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენებას. არადა საქართველოში მუშაობდა და მუშაობს ეკონომიკური ინსტიტუტები და სკოლები, რომლებშიც მოღვაწეობენ ცნობილი მეცნიერები. ისინი თავიანთ ნაშრომებში იძლევიან საბაზრო ეკონომიკის ნაკლები რყევებით განვითარების ფასეულ რეკომენდაციებს.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ეკონომიკური აზრის მკვლევარი ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოვყოფ აკადემიკოს ა. სილაგაძის 2010 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს „ეკონომიკური დოქტრინები", რომელიც ჩვენი აზრით სამაგიდო წიგნი უნდა იყოს ეკონომიკის პრობლემების შესწავლით დაინტერესებული ყველა მკვლევრისათვის, განსაკუთრებით ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის.

საკითხის სრულფასოვანი გაგებისათვის აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ბერკეტი, მოტივია ეკონომიკური ინტერესი, რომლითაც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად აყალიბებს როგორც საზოგადოების ნებისმიერი წევრი, ისე ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც აერთიანებთ როგორც პირადი, ისე კოლექტიური ინტერესები. ადამიანი დილით იღვიძებს და საქმიანობას იწყებს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

მოსწავლე მიდის სასწავლებელში იმ იმედით, რომ მიიღებს განათლებას ცხოვრებაში კარგი კარიერის შექმნის მიზნით. მისი მიზანია კარგი ცხოვრებისათვის მომზადება, რაც შეუძლებელია კარგად ფულად ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე. ოჯახის დასაქმებული წევრების მიზანია მაღალანაზღაურებად სამსახურში საქმიანობა და კარიერული წინსვლა, მეტი შემოსავლის მიღება ცხოვრების უკეთესად მოწყობისათვის.

ადამიანთა შრომითი კოლექტივები იქმნება მატერიალური დოვლათის ან მომსახურების სფეროში მოგების ანუ შემოსავლების მიღებისათვის. სახელმწიფო სტრუქტურები იქმნება საზოგადოებისათვის სახელმწიფოს უკეთ მოსახურეობის მიზნით. რაც უფრო მაღალგანვითარებულია სახელმწიფო, მით უფრო მაღალანაზღაურებადია სახელმწიფო მოხელის შრომა, რის შესაბამისადაც იზრდება ადამიანის მოტივი ჩადგეს სახელმწიფო სამსახურში და საკუთარი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს სახელმწიფოს. სახელმწიფო ცდილობს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკით (უპირველეს ყოვლისა საგადასახადო და სოციალური პოლიტიკით) შეუქმნას საზოგადოებას არსებობის ისეთი პირობები, რომელიც შესაძლებელს გახდის საზოგადოება განვითარდეს ეკონომიკური და სოციალური რყევების (კრიზისის) გარეშე.

რაც უფრო ცივილიზებულია სახელმწიფო მით უფრო სრულყოფილია მისი საკანონმდებლო ბაზა და ადამიანების ცხოვრების დონე არ არის დამოკიდებული მთავრობების ცვლასთან ან სხვა სუბუექტურ ფაქტორებთან. ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში (მათ შორის საქართველოში) ხელისუფლება როგორც წესი ცდილობდა საკანონმდებლო ბაზა მოერგო პირად ინტერესების და საკუთარი, კლანური ინტერესების მაქსიმალურად გახანგძლივებისა და დაცვისათვის. სამეცნიერო ნაშრომებსა და საგაზეთო სტატიებში ხშირად გხვდება, შეიძლება ითქვას ფრთიანი ფრაზა, „ფეოდალური მართველობა", რაც როგორც წესი, მართველობის ცენტრალიზაციის პირადი და კლანური ინტერესების დაქვემდებარებას გულისხმობს.

ფეოდალური ეპოქა ისტორიულად ერთერთი ხანგძლივი პერიოდია კაცობრიობის არსებობის მანძილზე, რომელიც მოიცავს პერიოდს რომის იმპერიის დაცემიდან (V საუკუნე) XV საუკუნემდე, როცა ტექნიკურმა პროგრესმა და ახალი კონტინენტების აღმოჩენამ აუცილებელი გახადა ახალი, საბაზრო ელემენტების ჩამოყალიბება და ფეოდალიზმის რღვევის შედეგად, ხელი შეუწყო კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვას.

ფეოდალიზმის ეპოქის უმთავრესი დამახასითებელი ნიშანია, მონისაგან განსხვავებით ყმა-გლეხისათვის მეტი უფლებების და ინტერესის მინიჭება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისათვის. ყმას გააჩნდა საკუთრება მიწისა და მასზე განთავსებული ნაგებობების სახით. ჰქონდა ცოლ-შვილის ყოლის უფლება და კანონი საშუალებას აძლევდა ნაყოფიერი შრომისათვის მიეღო უფრო მეტი სარგებელი. მონათმფლობელობისაგან განსხვავებით შრომის ბაზრის შევსების ძირითადი წყარო გახდა ყმის ოჯახის სიმრავლე, რაც ქვეყანაში მატერიალური დოვლათის შექმნისა და თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნების მთავარი საფუძველი გახდა.

ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიული განვითარების უნიკალურობა და თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მას მსოფლიოს უმეტესი განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით არ გაუვლია მრავალსაუკუნოვანი მონათმფლობელური საზოგადოების საფეხური. აღნიშნული არ არის შემთხვევითი და განპირობებულია ერის განვითარების თავისებურებებით. საქართველოს აღორძინების ეპოქა ემთხვევა ფეოდალურ წყობას, როცა სახელმწიფოს მართავს მეფე, ეკლესია და თავად-აზნაურობა. კანონმდებლობა აწესრიგებს საზოგადოებაში ყველა სოციალური ფენის მდგომარეობას. საქართველოს ისტორიული თავისებურებაა ის, რომ ბატონი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით თამაშობდა პატრონის როლს ანუ ყმა-გლეხი მასში მოძალადეს და მჩაგვრელს კი არა, უპირატესად პარტნიორს ხედავდა, რომელსაც მისი და მისი ოჯახის წევრების ეკონომიკური უსრუნველყოფა და მტრებისაგან დაცვა ევალებოდა ანუ იყო მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოების დაცვის გარანტი. აღნიშნული წესრიგის დროს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ანუ ყმა-გლეხების მდგომარეობა, ქვეყანაში შექმნილი განაწილების დიფერენციული სისტემის მიუხედავად წესრიგს ექვემდებარებოდა. გლეხი ქმნიდა მატერიალურ დოვლათს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის და ზრდიდა შვილებს სახელწიფოს დასაცავად, ხოლო მართველი ელიტა უზრუნველყოფდა მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

ფეოდალური წყობილების ეკონომიკური დოქტრინების გაცნობის დროს კარგად ჩანს მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი, რაც ვლინდება ერთის მხრივ სახელმწიფო ინსტიტუტების მცდელობაში შეინარჩუნონ ფეოდალების

უმეტეს წილად პარაზიტული პრივილეგიები, ხოლო მეორეს მხრივ შეინარჩუნოს ყმა გლეხის ისეთი მდგომარეობა, რომ მას შეეძლოს მეტი პროდუქციის წარმოება სახელმწიფო წყობის შენარჩუნების მიზნით. ფეოდალური სახელმწიფოს იერარქიის სათავეში იდგა მეფე, რომელსაც უზარმაზარი ძალაუფლება ჰქონდა. ადრეული ფეოდალიზმის ეპოქაში მეფეზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ხელთ ეპყრა ეკლესიას, რის გამოც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო ეკლესიის მხარდაჭერა. ეკლესიასთან ერთად სახელმწიფოს საკუთარი კანონებით უნდა დაეცვა, გაბატონებული ფენის, ფეოდალების პარაზიტული ინტერესები, რაც მეფის ხელისუფლების შენარჩუნების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ფეოდალური მართველობის სისტემა და ფეოდალიზმის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური წყობილების არსი, რადიკალურად განსხვავებულია. როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალური წყობილების დროს მეფე და ფეოდალები საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებასთან ერთად ცდილობდნენ მატერიალური დოვლათის მწარმოებლის ანუ ყმა გლეხისათვის ისეთი სამეურნეო პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა მის დაინტერესებას რაც შეიძლება მეტი მატერიალური დოვლათის შექმნის მიზნით ანუ შრომის მწარმოებლურობის ზრდას. ფეოდალური მართველობა კი გულისხმობს ერთი პირის ან პიროვნებათა ჯგუფის პარაზიტული მოხმარების უზრუნველყოფას მთელი მოსახლეობის ხარჯზე და მატერიალური დოვლათის შემქმნელის ანუ დაქირავებულის ინტერესების აბსოლუტურ გაუთვალისწინებლობას, რადგან მართველი ელიტის შემოსავლების მთავარი წყარო ელიტარული კორუფციული გარიგებები და საბიუჯეტო სახსრების საკუთარი ინტერესების მიზნით გამოყენებაა.

ევროპაში ფეოდალეური წყობილების ინტერესების გამოხატულების თვალსაჩინო დასტურია მე-6 საუკუნეში დაწერილი **„სალიკური სამართალი"**, რომლის მთავარი მიზანი სათემო ურთიერთობა დაცვაა და ასახავს მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულოებით სარგებლობისა და განკარვის ძირითად საკანონმდებლო საკითხებს. როგორც ირკვევა, თითოეულ გლეხს საკუთრებაში ჰქონდა ინდივიდუალური საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. სათიბები და ტყეები თემის კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო სახნავი მიწები მისი მფლობელი ცალკეული პირების სამემკვიდრეო საკუთრება იყო. გლეხის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემთხვევაში მოძრავი ქონება მის ახლო ნათესავებს რჩებოდა, ხოლო მიწის ნაკვეთი თემს უნდა ჩაბარებოდა. სათემო ურთიერთობების ფეოდალურური ურთიერთობების ჩანაცვლების პარალელურად ძალაში შედის ახალი კანონები და ინსტრუქციები, რომლებიც ასახავს მეფისა და ფეოდალების ხელისუფლების ცენტრალიზაციის დამკვიდრების პროცესებს.

მე-9 საუკუნის დასაწყისში ფრანკთა მეფის კარლოს დიდის ბრძანებით, საკუთარი მამულების უკეთ მართვის მიზნით, შეიქმნა ინსტრუქცია **"კაპიტულარები ვილების შესახებ"** ანუ „კანონები მამულის შესახებ". დოკუმენტში დახასიათებულია ფეოდალური მეურნეობის ძირითადი პრინციპები, აღნიშნულია ბაზრები და საბაზრო შემოსავლები, როგორც ჭარბი პროდუქციის გადანაწილების ქმედითი მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად ჩანს ფეოდალის მონოპოლისტური მდგომარეობა საკუთარ მამულში. აქ მოყვანილი პროდუქტი ძირითადად მემამულის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვისაა საჭირო და საქონლის სახეს არ იღებს, რაც აფერხებს სასაქონლო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებას. კანონებში დასახიათებულია სოფლის მეურნეობა დარგობრივ ჭრილში, მარცვლეური კულტურების, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის ძირითადი სტრუქტურა. აღნიშნულია მევენახეობა და ღვინის წარმოება.

ფეოდალიზმის განვითარებამ გარკვეული სტიმული მისცა შრომის ნაყოფიერების ზრდას, რის შედეგადაც შექმნილი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი იღებს საქონლის სახეს. შრომამიგებითი ბეგარა იცვლება ფულადი ბეგარით, რის შედეგადაც საფუძველი ეყრება ვაჭრობის განვითარებას. ვაჭრობა ვითარდება, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ისე მცირე აზიაში. ქალაქები იბრუნებენ სამეურნეო ცენტრების ფუნქციას, რომელშიც ვაჭრობასთან ერთად ვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა. ჩნდება ბანკების ჩანასახები ზარაფხანების სახით.

ფეოდალიზმის ცხოვრების წესში სულ უფრო დიდი ადგილი დაიჭირა ეკლესიამ. საზოგადოების სულიერი და მატერიალური ცხოვრების განვითარებაში სულ უფრო დიდი იყო საეკლესიო კანონების ხვედრითი წილი. საეკლესიო იდეოლოგიის ცნობილი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი **თომა აქვინელი (1225-1274 წწ)**, რომელიც წმინდანად შერაცხეს. ცნობილია თომას აქვინელის თეორია ე.წ. „საერთო კეთილდღეობის შესახებ". ეს თეორია ჰუ-

მანური იდეებითაა დაჟღენთილი და ეგოისტური, პირადი ინტერესების ნაცვლად ქადაგებს საერთო კეთილდღეობის პრინციპებს. თ. აქვინელის ეკონომიკური შეხედულებები ძირითადად თავმოყრილია ნაშრომში „თეოლოგიის ჯამი". აქ განხილულია კერძო საკუთრების, ვაჭრობის, სესხებზე სარგებლის განაკვეთისა და სხვა საკითხები. იგი იხილავს ქონების მოთხოვნილების მიხედვით განაწილების საკითხებს. იმის გამო, რომ ის ვერ ჩაწვდა შექმნილი მატერიალური დოვლათის ობიექტურად განაწილების საფუძვლებს, მისი მსჯელობა იდეალისტურია და გულისხმობს ადამიანების მიერ მათი სოციალური მდგომარეობის მიხედვით შემოსავლების მიღების კანონზომიერებას. კერძო საკუთრებას ის არ განიხილავს, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას და თვლის, რომ კერძო საკუთრება არის კატეგორია, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში მშვიდობის და სტაბილურობის დამკვიდრება იმ უბრალო მიზეზის გამო, როცა ადამიანი ფლობს გარკვეულ ქონებას ის მისი მოვლა-პატრონობითაა დაკავებული და ნაკლები დრო რჩება სახელმწიფოს ავკარგიანობაზე ფიქრზე. ეს იდეა აქტუალურია ნებსმიერი, მათ შორის მაღალგანვითარებული საზოგადოების პირობებში. საქართველოს მოსახლეობა ბოლო ათწლეულების მანძილზე რამდენჯერმე წამოეგო ათასგვარი ავანტურისტული პოლიტიკოსების ანკესზე და ძალით შეცვალა არსებული ხელისუფლება, თუმცა საზოგადოების განვითარებისათვის ამას დადები ზეგავლენა არ მოუხდენია. საზოგადოება რევოლუციურ გარდაქმნებს თავიდან აიცილებს იმ შემთხვევაში თუ საზოგადოების წევრებს ანუ მოქალაქეებს ექნებათ კერძო საკუთრება, რადგან ადამიანი, რომელიც საკუთრებას ფლობს ცდილობს არსებული ხელისუფლების შენარჩუნებას, როგორც სტაბილურობის გარანტიას. შემთხვევითი არ იყო წინა (სააკაშვილისდროიმდელი) ხელისუფლების მცდელობა საქართველოს მიწები გაესხვისებინა უცხოელ ფერმერებზე, რადგან მათი თითქმის 100 % არჩევნებში ხმას მისცემს იმ ხელისუფლებას, რომლებმაც მათ ხელი შეუწყო მიწების შესყიდვასა და მოქალაქეობის მიღებაში.

აქვინელის იდეების აქტუალობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ XX-საუკუნის 60-იან წლებში რომის პაპი იოანე XXIII გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ არ უნდა შეზღუდოს კერძო საკუთრება, პირიქით მან უნდა შეძლოს ცალკეული მოქალაქეებისათვის კერძო საკუთრების დაკანონება, რაც მოახდენს საზოგადოებისა და ბუნების კანონების ჰარმონიზაციას და საზოგადოების საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრებას.

თომა აქვანელის მოძღვრების ქვაკუთხედია საკითხების განხილვისადმი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კუთხით მიდგომა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელია. მაგალითად ის თვლის, რომ ვაჭრობის განვითარების გარეშე საზოგადოების პროგრესული განვითარება შეუძლებელია. ის რეალურად აფასებს ვაჭრობის დანიშნულებას და მიიჩნევს, რომ ვაჭარია ის, ვინც საქონელს ყიდულობს მისი ზედმეტად გაყიდვის მიზნით. ამასთან მის ცნობილ თეორიაში „სამართლიანი ფასი" აღნიშნულია, რომ არცერთ შემთხვევაში გამართლებული არ არის საქონლის ზედმეტ ფასში გაყიდვა, რადგან ამით ერთი ადამიანი, გამყიდველი, ვაჭარი იგებს ხოლო მეორე ადამიანი, მყიდველი, მომხმარებელი აგებს, რაც უსამართლობაა. ავტორი ხედავს მისი მსჯელობის წინააღმდეგობრივ ხასიათს და გამოსავალს ზნეობრივი კატეგორიების მოშველიებით ცდილობს, როცა თვლის, რომ საქონლის ზედმეტ ფასში გაყიდვა დასაშვებია მაშინ, როცა მას ზნეობრივი შედეგი მოყვება ანუ თუ ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგება ოჯახის შენახვას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის გაკეთებას მოხმარდება.

წინააღმდეგობრივია თომა აქვანელის მსჯელობა ფულის სარგებლით გაცემასთან, ანუ მევახშეობასთან დაკავშირებით. ის მიიჩნევს, რომ გამართლებულია ფულის გადახდა რაიმე ნივთის შესაძენად, მაგრამ დაუშვებელია ფულის გაცემა უფრო მეტი ფულის მიღების მიზნით. ის ითვალისწინებს ეკლესიის შეხედულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც დასაშვებია ისეთი ოპერაციის ჩატარება, როცა ფული გასესხება სარგებლის სახით მოგებას იძლევა, რომ ფულადი ოპერაციის განხორციელების შედეგად „სარგებლიანი მოგების" მიღება სავსებით მისაღები და კანონიერია. აღნიშნულის გათვალისწინებით თომა აქვანელი თვლის, რომ მოგების მიღების მიზნით ფულის გაცემის ფინანსური ოპერაცია დასაშვებია.

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ტენდენციები ახალ მოთხოვნებს უყენებს განვითარებადი ქვეყნების მმართველ ელიტას, რომელმაც საკუთარი ინტერესების შენარჩუნება უნდა დაუქვემდებაროს რბილად, რომ ვქვათ მსოფლიოს მართველი ელიტის ინტერესებს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არ ითვალისწინებს, მით უმეტეს არ იცავს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული

თვითმყოფადობის შენარჩუნებას ან მის განვითარებას. ქვეყნის მართველი ელიტა საკუთარი იდეოლოგიით ცდილობს მსოფლიო მართველების ინტერესების დაკმაყოფილებას, რისთვისაც ისინი უზარმაზარ თანხებს იღებენ გრანტების, თუ სხვადასხვა დახმარებების სახით. ეკონომიკური თეორიების ავტორებმა უკეთ უნდა დაინახონ ერის განვითარების ინტერესებისა და სახელმწიფოს მართველი ელიტის ინტერესების წინააღმდეგობრივი ხასიათი.

შემდეგ სტატიებში ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ საქართველოშო ისტორიული ეპოქების შეცვლის კანონზომიერებანი, რომელთა შორის განმსაზღვრელია, უზარმაზარი ეკონომიკური ინტერესი და მისგან გამომდინარე ადამიანების „ტვინის რეცხვის" იდეოლოგიის ურთიერთკავშირი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. სილაგაძე, ეკონომიკური დოქტრინები, თბილისი 2010 წ.
2. გ. თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწილი I, თბ., 2004.
3. კობა სოხაძე, საზოგადოების მართვის ეფექტიანობის ზრდის სისტემური მიდგომის პოლიტიკური და სოციალური ასპექტები. კონფერენცია, სტუ საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა. შრომები. გვ. 69-72. თბ., 2011.

FEUDAL MANAGEMENT AND FEUDAL SYSTEM

KOBA SOKHAZE
professor of GTU

It should be noted that the reign system of feudalism and socio-economical system of feudalism subjects are totally different ones. As it was mentioned at the feudal system king and feudal lords tried to set such circumstances for the serfdom-based villains where not only the material interests and privileged positions of the above mentioned rulers could be highly protected but the inferiors were interested to increase productivity. The rule of that period envisaged parasitic consumption of one person or group of people on the expense of the whole population and absolute ignorance of hired workers interests.